განკარგულება:**გ-17. 17242363**
თარიღი:**23/08/2024**

იმ შენობა-ნაგებობებისა და ადგილების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა, აგრეთვე დასაშვებია სააგიტაციო მასალის განთავსება და პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრების, აგიტაციის და შეკრებების მოწყობა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის, მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის, მე-80 მუხლის, 93-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად**:**

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გაკვრა:

ა) საკულტო ნაგებობებზე (ეკლესია-მონასტრები და ნებისმიერ კონფესიას მიკუთვნებული საკულტო დაწესებულებების შენობა-ნაგებობებზე);
ბ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებზე (უძრავ ძეგლებზე);
გ) შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, რომლებშიც განთავსებულია:
გ.ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება, მისი სტრუქტურული ერთეული ან ტერიტორიული ორგანო/სამსახური, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი);
გ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერიის ან მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეული; მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო);
გ.გ) სასამართლო;
გ.დ) პროკურატურა;
დ) პოლიციის კუთვნილი შენობების ინტერიერში და ექსტერიერზე;
ე) საგზაო ნიშნებზე.
ვ) ქალაქ ბორჯომში შემოსასვლელთან მდებარე ქვის სტელაზე.
2. ამ განკარგულების პირველი მუხლის გათვალისწინებით, სააგიტაციო მასალის განთავსება დასაშვებია დანართი N1-ში მითითებული ტერიტორიების შესაბამისად:
ა) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე ღამის განათების ბოძებზე – მიწის ზემოთ არანაკლებ სამი მეტრის სიმაღლეზე, ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებიდან, სადენებიდან და სხვა ელექტრომოწყობილობებიდან არანაკლებ ერთი მეტრის დაშორებით;
ბ) „ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა,

სამშენებლო ტერიტორიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
გ) ბანერების განთავსება დასაშვებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებისა და ნებართვის საფუძველზე, გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტით აკრძალული ადგილებისა, თუ ამით არ უარესდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობაა, აგრეთვე საფრთხე არ ექმნება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.
3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.
4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.
5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)
6. მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადგილას, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 1 (ერთი) ცალით;
7. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ ის მოხელეები, რომლებსაც ეს უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.
8. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
9. განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში - პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრების, აგიტაციის და შეკრებების მოწყობა, დანართი N2-ის შესაბამისად.
10. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის შესაბამისად წინასარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან.
11. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა №60ᵃ).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

#	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბნის მისამართი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტი, რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება	შენიშვნა
1	#36-1/28 ჩარხისწყალი	ქ. ბორჯომი	1. **ავტომოსაცდელი** რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ (ე.წ ჩარხისწყლის ხიდთან) 2. **ავტომოსაცდელი** თორის ქუჩის მიმდებარედ (N1 ჩამომსხმელ ქარხანასთან) 3. **ავტომოსაცდელი** თორის და ხორავას ქუჩის გადაკვეთაზე (ქვედა არდაგანი) 4. **ავტომოსაცდელი** თორის ქუჩა (არდაგანი 12 სართულიან საცხ. კორპუსებთან)	
2	#36-02 ვაშლოვანი	ქ. ბორჯომი	**ავტომოსაცდელი** აღმაშენებლის ქუჩა	
3	#-36-2/25 N1 საჯარო სკოლა	ქ. ბორჯომი	**ავტომოსაცდელი** მესხეთის ქუჩის მიმდებარედ (ეკლესიის ასახვევთა)	
4	#36-6/26 ახალი უბანი	ქ. ბორჯომი	**ავტომოსაცდელი** რობაქიძის ქუჩა	
5	#36-7/27	ბორჯომი	კოსტავა სახ. ბაღის შესასვლელთან საინფორმაციო დაფა **ავტომოსაცდელი** 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ (პლატოს ასახვევთან)	
6	#36-8 სოფელი ლიკანი	ბორჯომი	**ავტომოსაცდელი** მესხეთის ქუჩის მიმდებარედ (ხიდთან)	
7	#36-9 ლიკანი	ბორჯომი	**ავტომოსაცდელი** მესხეთის ქუჩის მიმდებარედ (რაზმაძის და გოგებეშვილის ქუჩის ასახვევთან)	
	სოფლებსა და დაბებში		ავტომოსაცდელები	

დანართი №2

შენობა ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)		
№	**შენობის დასახელება**	**შენობის მისამართი**
1	ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	ქ. ბორჯომი, კოსტავას ქ.N1
2	ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა	ქ. ბორჯომი, წმ. ნინოს ქ.N1
3	კინოთეატრის დარბაზი	ქ. ბორჯომი, 9 აპრილის ქ.N50
4	რიტუალების სახლის შენობა	ქ. ბორჯომი, დაბა ახალდაბა
5	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. კორტანეთი
6	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. რველი
7	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. მზეთამზე
8	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ.დვირი
9	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ჭობისხევი
10	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ქვაბისხევი
11	რიტუალების სახლის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ტაძრისი
12	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ტაბაწყური
13	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ბალანთა
14	კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ჭიხარულა
15	ყოფილი კლუბის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ტიმოთესუბანი
16	კულტურის სახლი	ქ. ბორჯომი, სოფ. ყვიბისი
17	კულტურის სახლი	ქ. ბორჯომი, დაბა წაღვერი
18	რიტუალების სახლის შენობა	ქ. ბორჯომი, დაბა ბაკურიანი
19	რიტუალების სახლის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ანდეზიტი
20	რიტუალების სახლის შენობა	ქ. ბორჯომი, სოფ. ციხისჯვარი